სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

მარიამ სულხანიშვილი[1]
დუზჯეს უნივერსიტეტი (თურქეთი)

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.28

მითოსური წარმოსახვა და რეალური შტრიხები ქართულ ლიტერატურაში[2]

აბსტრაქტი. ქართული მწერლობა რომ შემოქმედთა სულიერებით შექმნილი მითოსური მეტამორფოზაა ინდივიდუალური სახისმეტყველების პრიზმაში, სულაც არ გახლავთ სიახლე. სიახლეა მითოსთან, ზოგადად ხელოვნებასთან, როგორც მისტერიასთან, ჩვენი დამოკიდებულებები და ურთიერთკავშირები. სიახლეა იმ გაგებით, რომ ხელოვნების დანიშნულება ოდითგანვე იყო განსაზღვრული და იგი კაცობრიობის ზნეობრივ აღზრდას ემსახურებოდა. მისი ზეგავლენა ადამიანთა ცნობიერებაზე ფერისცვალებით, არაერთგვაროვანი მიმღეობით ხასიათდება. ხელოვნების იდუმალი ძალა ინტენსიურად ზემოქმედებს ადამიანურ სამშვინველზე და ახდენს პიროვნების ზნეობრივ სრულქმნას, ისეთად, როგორც ეს ჩაფიქრებული აქვს ინსპირატორ-ხელოვანს. შესაბამისად, მხატვრული ფანტაზიით წარმოსახული გმირები მხოლოდ მხატვრული შემოქმედებების გალერიებიდან როდი გვიმზერენ, იგი ჩვენში იწყებენ გადმოსახლებას. ხელოვნების ნაწარმოებებთან ჩვენი ინტენსიური შეხება იწვევს მედიტაციურ განწყობილებებს და მიწიერი ყოფიერებით გაჯერებული ადამიანური ცნობიერება იძენს სულიერი აზროვნების უნარს,

---

[1] **მარიამ სულხანიშვილი.** ფილოლოგიის დოქტორი. დუზჯეს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

[2] მოხსენება წაკითხულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგან-იზებულ მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურა, სოციალური მეცნიერებანი, განათლება“,* რომელიც აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 160 წლისთავს მიეძღვნა, 2023 წლის 21-22 დეკემბერს.

რომლის ნაკადიც მიემართება ზენა სამყაროებისაკენ. ეს არის მისი ჯადოსნური ძალა და უცვლელი პრინციპი, რამაც შექმნა და ჩამოაყალიბა თავდაპირველი მითოსიც და ზოგადად, მხატვრული სამყაროც. ადამიანური პიროვნების ყოვლისმომცველობითი გრძნობა უკვდავი სულის თვისებაა, რომელსაც შესწევს უნარი თავადვე გადაიქცეს ხელოვნების ნაწარმოებად. ვფიქრობთ, ეს მიდგომა ყველა დროში აქტუალურია. ამ გაგებით ადამიანური წარმოსახვებით შექმნილი ფერები უფრო რეალურად აღქმადია, ვიდრე ყოველდღიურ არსებობაში ჩვენი ინტეგრირებული მეცნობიერება. ხელოვნების დახმარებით ადამიანის სული ივსება სიახლით, და ამგვარად კონსტრუირებული პიროვნების განახლებული კატეგორია საზოგადოების წინაშე წარსდგება, როგორც ერთგვარი სულიერი ინსტიტუცია. ჩვენ მიერ განხილულ თემაში ერთმანეთს ვუპირისპირებთ მხატვრული ფანტაზიებით შექმნილ მესიანისტურ გმირთა სამყაროს და მიხეილ ჯავახიშვილის მწერლურ რეალობაში გადმოცემულ ლიტერატურულ პერსონაჟებს. ვმსჯელობთ, თუ რომელი უფრო მართებულად გამოხატავს ჩვენს ეროვნულ სინამდვილეს.

საკვანძო სიტყვები: მითოსური წარმოსხვა, რეალური შტრიხები, ქართული ლიტერატურა, მიხეილ ჯავახიშვილი, ეროვნული სინამდვილე.

Mariam Sulkhanishvili[3]
Duzce University (Turkey)

Mythical Imagination and Real Touches in Georgian Literature[4]

Abstract. It is not at all new to claim that Georgian literature is a mythological metamorphosis created through the spirituality of its authors and refracted through the prism of individual imagery. What is new are our attitudes toward and connections with myth and, more broadly, with art as a mystery. It is new in the sense that the purpose of art has been defined since ancient times – to serve the moral upbringing of humanity. Its influence on human consciousness is characterized by transformation and a heterogeneous reception.

The mysterious power of art exerts an intense influence on the human soul and shapes the moral perfection of the individual, in the manner envisioned by the inspired artist. Accordingly, heroes imagined through artistic fantasy do not merely gaze at us

---

[3] **Mariam Sulkhanishvili**. Doctor of Philology. Associate Professor, Duzce University.

[4] The report was read at the Third International Scientific Conference *"Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Culture, Social Sciences, Education"*, organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, dedicated to the 160th anniversary of the birth of Academician Ekvtime Takaishvili, on December 21-22, 2023.

from the galleries of artistic creations; they begin to migrate into our inner selves. Our intensive contact with works of art fosters meditative states, and human consciousness, saturated with earthly existence, acquires the ability for spiritual thought, whose current flows toward the higher worlds. This is its magical power and immutable principle, the very force that created and shaped the primordial myth and, in general, the artistic world.

The all-encompassing sense of the human personality is a quality of the immortal soul, which possesses the ability to itself become a work of art. We believe this approach is relevant in all times. In this sense, colors created by human imagination are more vividly perceptible than our integrated self-consciousness in everyday existence. With the help of art, the human soul is filled with novelty, and the newly constructed category of personality thus emerges before society as a kind of spiritual institution.
In the topic we discuss, we juxtapose the world of messianic heroes created by artistic fantasy with the literary characters conveyed in the realistic works of Mikheil Javakhishvili. We examine which of the two more accurately reflects our national reality. Mikheil Javakhishvili, as an incomparable writer-psychologist, offers an interesting direction to Georgian literature. His work is the most transparent mirror he places into the hands of the Georgian reader, so that we may truly come to know ourselves. He draws aside the curtain, and behind it, instead of the messianic-mythical figures transformed through Georgian literature, we encounter Teimurazes and Margos. Facing the harsh reality of Georgia, the writer himself provides us with an analysis of what has determined our current state of existence. Of particular interest is the question of how the god-man imagery, represented through mythical strokes, and the depiction of woman through deification, correspond to one another and how these two extremes coexist within the reality of Georgian consciousness.

Keywords: Mythical Origin, Realistic Features, Georgian Literature, Mikheil Javakhishvili, National Reality.

შესავალი. მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც შეუდარებელი ფსიქოლოგი-მწერალი, საინტერესო მიმართულებას სძენს ქართულ მწერლობას. მისი შემოქმედება ყველაზე გამჭვირვალე სარკეა, რომელსაც ხელში გვაჩეჩებს ქართველ მკითხველს, რათა რეალურად შევიცნოთ საკუთარი თავი. ის ხდის ფარდას, რომლის მიღმაც ქართული მწერლობით გარდასახული მესიანისტურ-მითოსური სახეების ნაცვლად, თეიმურაზები, ჯაყოები, მარგოები, ძაღლუკები, ხირჩლა ჯიხალაურები და სხვა სულით ხორცამდე წამხდარი და უკიდურესად ტრაგიკული ადამიანები გვხვდებიან. საქართველოს მწარე რეალობასთან პირისპირ მდგარი მწერალი თავადვე გვაწვდის ანალიზს თუ რამ გა-ნა-პირობა ჩვენი ამგვარი დაცემა. საინტერესოა თუ როგორ უპირისპირდება ეს ორი უკიდურესობა ერთმანეთს ქართულ სინამდვილეში.

ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავენ, როდესაც ამბობენ, რომ იგი პროფეტულია თავისი არსით. პროფეტულია იმ გაგებით, რომ მასში სიმბოლო წარუვალის ალეგორიაა. მიხეილ ჯავახი-შვილის შემთხვევაში სიმბოლომ შეიძინა სრულიად ახალი მნიშვნელობა. იგი უკიდურესად დაშორებულია მითოსური ცნობიერების, როგორც ღვთაებრივი ჭეშმარიტების ტრადიციულ გაგებას. მისი შემოქმედება განქარვებული, პიროვნებადაკარგული ტრაგიკული ადამიანები არიან, რომლებიც თავად ქცეულად რეალური ცხოვრების სიმბოლოებად. მათი სულიერი აღდგომის პერსპექტივა პრაქტიკულად არ ჩანს. რეალისტი მწერალი, ითვალისწინებს რა თანადროულ ყოფას, სულის ხსნას და ხელოვნების სიდიადეს, სწორედ უკიდურესად დაკნინებულ ,,გმირთა" გალერიის შექმნაში ხედავს. გრიგოლ რობაქიძე მიუთითებდა, რომ ერი დიად ქმნილებას მაშინ ჰქმნის, როცა ის სულიერად ძლიერია და თუ ერი აღარ არის სულიერად ძლიერი, მაშინ მისი ქმნილებაც ,,გაბზარული მარმარილოა". რასაკვირველია ეს წინასწარმეტყველური მოსაზრება დღეს უკვე გამართლდა, თუმცა არა ყოველთვის. ქართულ სინამდვილეში, თვით უკიდურესი კრიზისის დროსაც დიდი მწერლები და პოეტები დიადი შთაგონების მეოხებით ქმნიდნენ გენიალურ შედევრებს. ვაჟასეული შემოქმედება ერთგვარი მხილება და გაკიცხვაა ქართველი ერისა. იგი მრავალი კუთხით განიხილავს ერის საჭირბოროტო საკითხებს, გვამათრახებს, საყვედურით გვავსებს, მაგრამ არ ივიწყებს ქართველი კაცის სულიერ იდეალს, მის არქეტიპულ მოდელს მინდიას გველისმჭამელში აცოცხლებს, რომელიც უპირველესად მითოსური სახისმეტყველების გამოცხადებაა საკუთარ თავში განცდილი.

დისკუსია. მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ერის დაკნინებული მდგომარეობის სამზეოზე გამოფენა გახლავთ ილიას შემოქმედებაც, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟებთან შედარებისას თათქარიძეობა სენია, რომელიც წარმავლობაში იკარგება მომავლის პერსპექტივით. არც ილიას მკვლელობით გულმოკლული და გამწარებული აკაკის ქნარი არ მიმართულა ქართველი ერის წინააღმდეგ ასე მწარედ და სასტიკად. კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე კვლავ მითოსის გაცოცხლების ხელოვნების გზით მიუყვებოდნენ შემოქმედებით აღმართს და ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ქართველი ერი თავს მოსულ უბედურებას სახადივით მოიხდიდა. გალაკტიონი და ზოგადად, მეოცე საუკუნის გენიალური პოეზიის ავტორები კი იმგვარი ხელოვნებისთვის იწირებოდნენ, რომელიც თავად აქციეს სალოცავ ტაძრად, სადაც ქართველი ერის სული შეაფარეს.

მიხეილ ჯავახიშვილი სრულიად სხვაგან, განყენებულ სიმაღლეზე აღმოჩნდა. მისი პერსონაჟები განსხვავეული ტრაგიზმით ხასიათდებიან, რომელ-

საც მწერალი შეგნებულად უფრო აბნელებს და ამუქებს, რათა გვაგრძნობინოს, დაგვაფიქროს, დაგვზაფროს და ამით დაგვანახოს თუ სად, რაში მდგომარეობს ქართველი ერის ზნეობრივი დეგრადაციის მიზეზი. ამ თემებთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ შერჩეული მაგალითების კვალობაზე, შევეცდებით ჩვენეული მოსაზრება გაგიზიაროთ. ვფიქრობთ, მართლაც საინტერესოდ წარმოჩნდება ჩვენი თვალით დანახული მიხეილ ჯავახიშვილისეული შემოქმედებითი სამყარო, მისი პრინციპები და დამოკიდებულებები ცხოვრების მიმართ.

„ჯაყოს ხიზნები“, ყველაზე აქტუალური და ყველაზე ნიშანდობლივი მახასიათებელია ჩვენი ეროვნული სინამდვილისა, რომელიც არაერთხელ ყოფილა განხილვის საგანი ქართველი საზოგადოების მიერ (ჯავახიშვილი, 1985).

თეიმურაზ ხევისთავის ტრაგედია, რომელსაც საკუთარი სიცოცხლე აყროლებულ ლეშად გულზე ჩამოჰკიდებია და მის დახრჩობას ლამობს, უნიათო ნაკაცარია, რომელსაც არანაირი უნარი არ შესწევს ქალის ღირსება და ოჯახის პატიოსნება დაიცვას. მას დაკარგული აქვს ყველაზე მთავარი რამ - თავგანწირვის უნარი. *ჯაყო*, თეიმურაზისაგან განსხვავებით, განიხილება, როგორც უცხო ელემენტი, რომელიც შემოიჭრა ქართველი ერის ცნობიერებაში და პრაქტიკულად დაიკავა კიდეც ყველაზე პრესტიჟული ადგილი ქართულ საზოგადოებაში. სწორედ ეს უცხო ელემენტი, თეიმურაზ ხევისთავის „დახმარებით“ მართავს ჩვენს დღევანდელობას. *მარგო,* რომელსაც შეუძლია გააკეთოს არჩევანი, თავადვე გაჭრას ახალი გზა და ამ გზით თავი გადაირჩინოს, შექმნას საკუთარი თავი, საკუთარი პიროვნება, ქართველი ქალის ღირსება არავის გაათელინოს, შეპყრობილია მძიმე სენით, რომელსაც ვერაფრით ვერ მორევია. რაც არ უნდა მძიმე მოსასმენი იყოს საზოგადოებისთვის მწერალი საჯაროდ თავადვე ათქმევინებს მას, რაც ვერ შეძლო ნაკაცარმა თეიმურაზმა, ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა ერთ წუთში გაუთბო და გაუნელა. ქართველი ქალი ვნების მონაა. ამ ვნებამ დაასამარა მარგო. აქ დაიმარხა მისი პიროვნებად აღდგომის ქრისტიანული მორალით კურთხეული პერსპექტივა. მარგოში უპიროვნო ქალის პირველყოფილი ინსტიქტია და მისი ხვედრიც შესაბამისია, თუმცა იმასაც დავსძენთ, რომ ქართულ სინამდვილეს ეს მდგომარეობა სენად არ უგრძვნია, მარგოობა ერთგვარი „ტრენდიც“ კი გახდა მომავალ საქართველოში. მასში, მე პირადად, დღევანდელი დღის საქართველოს განზოგადებულ სახეს ამოვიკითხავ, სადაც პიროვნება პრაქტიკულად სამუდამოდ დაკარგულია და ერი იმყოფება კიდეც უპიროვნო არსებობის ბნელ წიაღში. იგი ვერ ბადებს პიროვნების კატეგორიას მომავლის პერსპექტივით. ვფიქრობთ, ერთობ საინტერესო თემატიკაა, როდესაც მის სიმბოლიზაციას ერზე მოვახდენთ. ასეთი გმირები დასაღუპად არიან განწირულნი. მწერლის ოპტიმისტური ხე-

დვა კი არ ჩანს. მიხეილ ჯავახიშვილისთვის კი ყურადღების ცენტრშია ადამიანი, პიროვნება, მის ჩამოყალიბებაზე ფიქრობს მწერალი, რომელიც აუცილებელი მომენტია, რათა იარსებოს ჯანსაღმა საზოგადოებამ და არ მოკვდეს ქართველი ერი. „ჯაყოს ხიზნები“ ამ ვაების გამოძახილია.

ქალის თემას და მის როლს საზოგადოებრივ საკითხებთან მიმართებაში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწერალი. საინტერესოა მისი მოთხრობა „თეთრი კურდღელი“ (ჯავახიშვილი, 1985). იქაც ისევ ქალს წარმოგვიდგენს ყველაზე სუსტი მხარეებით. თუმცა ამ შემთხვევაში უკვე ბავშვის სიკვდილით გამოწვეული ტრაგედიის განცდაზეა ყურადღება გადატანილი. აქაც ახალგაზრდა ქალის ვერმოთოკილი ვნებაა მთავარი დამნაშავე. ქალს, რომელსაც ჰყავს მეუღლე, შვილები, ამავე დროს ჰყავს საყვარელი მამაკაცი, რომელთანაც გატარებულმა სიამოვნების რამდენიმე საათმა შვილის გარდაცვალება გამოიწვია. დედამ საკუთარი ვალდებულება საკუთარ მე-ზე მაღლა ვერ დააყენა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ქმარი, თეიმურაზისგან განსხვავებულად იქცევა. იგი კლავს კაცს, თუმცა ადამიანის სიკვდილი ამგვარ მოცემულობაში მხოლოდ მამაკაცი-ქმრის ღირსებას სცემს პასუხს, რადგან მამაკაცური ღირსების გაცნობიერებას სხვა გამოსავალი არ დაუტოვა მწერალმა. აღსრულებულმა მკვლელობამ ქალის პიროვნული პასუხისმგებლობა ვერ დაბადა. პატივაყრილი ქალი კი ჭკუიდან შეიშალა. მკითხველი ხედავს თუ როგორი შეუწყნარებელია დიდი მწერალი „სუსტი სქესის“ მიმართ: „შენ მრავალი რამ არ გემორჩილება სიდონი“ - ასე მიმართავს მწერალი. იგი მთელი სიმკაცრით მოითხოვს მისგან ე. წ. მოვალეობის გაგების გააზრებას და დაცვას. ამ პრინციპებმა უნდა დაბადოს პიროვნების კატეგორია, რომელიც იქნება საფუძველი ზნეობრივი საზოგადოების არსებობისა.

ამავე კონტექსტისთვის ჩვენ კიდევ მესამე მომენტს განვიხილავთ, ამჯერად, ნოველა „ცოფიანის“ მიხედვით (ჯავახიშვილი, 2011):. მოქმედება მთაში, ხევსურეთში მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ხევსურმა კაცმა უდედოდ დარჩენილი ორი შვილი მარტომ გაზარდა. გადის ხანი და მათ მიაღწიეს ზრდასრულობის ასაკს, თუმცა მამა ამჩნევს, რომ დასა და ძმას ერთმანეთი შეუყვარდათ და ხდება ის, რაც ჩვეულებრივ ქალსა და მამაკაცს შორის ხდება. მამისთვის თავდაპირველად ეს ყოველივე დაუჯერებელია, მაგრამ როდესაც მთის კაცი საბოლოოდ რწმუნდება რეალობაში, იგი ჩამოხსნის მამაპაპეულ თოფს და თავისივე ხელით კლავს საკუთარ სისხლსა და ხორცს, რომელმაც გაუგონარი და უპატიებელი ცოდვა ჩაიდინა. იგი კლავს მას იმ გაგებით, რომ „ცოფიანია“ და ცოფი, რომელსაც საკუთარი ხელით არ მოკვეთ, არ ამოძირკვავ, გამრავლდება და სხვასაც გადაედება. მამამ შვილს ერთპიროვნულად გამოუტანა სასჯელი და ამგვარად დაასამარა მისი დაცემული ბუნება. საყურადღებოა, რომ სხვაგვარი მიდგომა არც არსებობს მწერლის წარმოსახვაში. ეს გახლავთ

მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც გვასწავლის რომ სენს თუ ვეღარაფრით შველი უნდა მოიკვეთო და ამგვარად განაგდო შენგან. ხოლო ყოველივე ამის ჩამდენი მამა უპირობო თვითმკვლელია იმის გააზრებით, რომ თავს მოსულ უბედურებას სიკვდილი ურჩევია.

დასკვნა. ამრიგად, მიხეილ ჯავახიშვლმა პირველად ქართულ სინამდვილეში მთელი სიძლიერით გაიაზრა ადამიანის ფსიქოლოგიური ყოფა-ცხოვრების ამსახველი სცენები, ცხოველურ ვნებასთან ჭიდილში გაორებულ ხორცში დატყვევებული სულის დრამა. პიროვნების ჩამოყალიბებამ, პიროვნულმა არსმა უნდა დაძლიოს ადამიანის ცხოველი მე და გაათავისუფლოს სული ეგოს მარწუხებისგან - ეს გახლავთ მისი მწერლისეული ჩანაფიქრის მიზანი. ხოლო საპირისპირო შემთხვევა კი ტრაგედიის საფუძველი ხდება, რომელიც სამუდამოდ ასამარებს ინდივიდსაც და ერის თავისუფლების სანუკვარ იდეასაც. მიხეილ ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ სწორედ ზნეობრივმა და მორალურმა ადამიანებმა უნდა შექმნან ერი, როგორც ორგანული მთელობა, რომელიც ეროვნული თავისუფლების უცვლელი პრინციპია. არა ერთზე თავსხმოხვეული პასუხიმგებლობა ამ გზაზე, არამედ მასების კათარზისი, მისი ცნობიერი აღზრდა. მხოლოდ საკუთარი თავის, საკუთარი ბუნების რეალური შეცნობა და გაცნობიერება მისცემს შესაძლებლობას ადამიანის პიროვნებას გააკეთოს სწორი არჩევანი და სძლიოს მტერს-საკუთარ თავს.

საინტერესოა მწერლისეული მიდგომები და დამოკიდებულებანი, რომელიც მან საკუთარი თვალთახედვით შექმნა და გაგვიზიარა. და თუ მართლაც საქართველო ღვთისმშობლის უშუალო გამოცხადებაა, როგორც ამაზე მიგვითითებენ დიდი მწერლები და დიდი მოაზროვნენი, მაშინ სად დევს ევას დაცემული ბუნებიდან გამოსავალი მომავლის აღდგომის პერსპექტივა? ჩვენს რეალობაში, როდესაც შევძლებთ საკუთარი ნაკლისა და ზადის დანახვას. ეს რეალობა კი რატომღაც არ ჩანს, იქნებ იმიტომ რომ ჩვენ არ შეგვისწავლია ჩვენი სენი. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ევროპული ხასიათით ჩამოქნილი ქართველი მწერალი ნამდვილად საქართველოს ღვიძლი შვილია, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრებითა და ტრაგიკული დასასრულით ეროვნული ღირსების საფუძველთა-საფუძველი შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჯავახიშვილი (2004) მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი. ტ. 1. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“;

ჯავახიშვილი (2011): მიხეილ ჯავახიშვილი, ცოფიანი, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ცისანა გენძეხაძემ, გამომც. „არტანუჯი“;

ჯავახიშვილი (1985): მიხეილ ჯავახიშვილი, მოთხრობები, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული).